პატიმრის უფლება ჯანდაცვაზე

მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო პროცესის და თანმდევი მოვლენების ანალიზი

2022

პატიმრის უფლება ჯანდაცვაზე

მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო პროცესის და თანმდევი მოვლენების ანალიზი

ანგარიში მომზადებულია ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ

ავტორი: გიორგი ტყებუჩავა
რედაქტირება: ალეკო ცქიტიშვილი, გიორგი კაკუბავა

ანალიტიკური დოკუმენტი მომზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.

სარჩევი

ზოგადი მიმოხილვა 4
პენიტენციური სისტემის ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და ეროვნული რეგულაციები 8
არასათანადო სამედიცინო მომსახურება და სავარაუდო არასათანადო მოპყრობა 10
მიხეილ სააკაშვილის საზღვარგარეთ მკურნალობის საჭიროების არსებობის შესახებ 15
განაჩენის აღსრულების გადავადების, ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის გამო სასჯელის მოუხდელი ნაწილისაგან გათავისუფლების საკანონმდებლო რეგულირება 16
მსჯავრდებულ/ბრალდებულ მიხეილ სააკაშვილთან ვიზიტის პრობლემა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში 19
ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის შედეგები 20
რეკომენდაციები 22

ზოგადი მიმოხილვა

2021 წელს მაღალი საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში საქართველოს მესამე პრეზიდენტის საქართველოში დაბრუნება და მისი დაკავების საქმე მოექცა. 2021 წლის 1 ოქტომბერს, დაკავებისა და N12 პენიტენციურ დაწესებულებაში შესახლებისთანავე, სამართლიანი და დროული სასამართლოს მოთხოვნით, ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა მიხეილ სააკაშვილმა, პროტესტის კანონით გათვალისწინებული ფორმა - შიმშილობა (საკვების არმიღება) გამოაცხადა. ხანგრძლივი შიმშილობის შემდეგ იუსტიციის სამინისტრომ/სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა მიხეილ სააკაშვილი 2021 წლის 8 ნოემბერს N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში გადაიყვანა[1].

საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 16 ნოემბრის #157 ბრძანებით შეიქმნა სპეციალისტთა/ექსპერტთა ჯგუფი ბრალდებულ/მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილისათვის მიწოდებული სამედიცინო მომსახურების ადეკვატურობისა და დროულობის შეფასების მიზნით[2]. 2021 წლის 17 ნოემბრისვიზიტის შედეგად სახალხო დამცველის ექსპერტთა ჯგუფმა პაციენტის მდგომარეობის კრიტიკულობიდან გამომდინარე, გასცა რეკომენდაცია, რომ პაციენტის მკურნალობა დაუყოვნებლივ გაგრძელებულიყო ფუნქციურად გამართულ და დიდი გამოცდილების მქონე პოლიპროფილურ ჰოსპიტალში, კერძოდ - ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში, რის პირობებსაც სპეციალური პენიტენციური სამსახურის N18 დაწესებულების კლინიკა არ აკმაყოფილებდა. იგივე რეკომენდაცია განმეორდა 2021 წლის 18 ნოემბრის ვიზიტის შედეგად, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის დამძიმებისას (დაფიქსირდა ვერნიკეს ენცეფალოპათიით[3] გამოწვეული გულყრა)[4].

სახალხო დამცველის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაზე დაყრდნობით, 2021 წლის 19 ნოემბერს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოცემული დროებითი გადაწყვეტილების საფუძველზე, დამძიმებული ჯანმრთელობისა და შიმშილობის შეწყვეტის შემდგომი მდგომარეობის მართვის მიზნით, საბოლოოდ იუსტიციის სამინისტრომ/პენიტენციურმა სამსახურმა მიხეილ სააკაშვილი N18 დაწესებულებიდან ქალაქ გორში, სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანა[5].

მიხეილ სააკაშვილის შიმშილობის პარალელურად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს/სპეციალური პენიტენციური სამსახურის მხრიდან პატიმრის ღირსების შემლახავი მოპყრობა დაფიქსირდა[6]. ამ საკითხზე, 2021 წლის 12 ნოემბერს, გავრცელდა საქართველოს უფლებადამცველი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართვა ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტისადმი, რომელშიც ნათქვამია: *,,მიხეილ სააკაშვილი საპატიმრო დაწესებულებებში ყოფნისას დაექვემდებარა სხვადასხვა სახის ღირსების*

---

[1] სპეციალური პენიტენციური სამსახურის განცხადება: ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების პრევენციის მიზნით და მომატებული საფრთხეებიდან გამომდინარე პატიმარი მიხეილ სააკაშვილი გადაყვანილია მე-12 პენიტენციური დაწესებულებიდან N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში. https://bit.ly/3RmOmxA, 8.11.2021.

[2] სახალხო დამცველის მიერ შექმნილ სპეციალისტთა/ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა N6 მიხეილ სააკაშვილის სამედიცინო მდგომარეობის მონიტორინგის შედეგების შესახებ. https://bit.ly/3TKvnPf, 17.11.2021.

[3] ***შენიშვნა:*** *ვერნიკეს ენცეფალოპათია - (F51.2), (Wernicke encephalopathy), მწვავე, სიცოცხლისათვის სახიფათო ფსიქონევროლოგიური სინდრომი, რომელიც ხასიათდება ცნობიერების აბნევით, აპათიით, ოფლიანობით, ძილისმაგვარი დელირიუმით, თვალისა და მხედველობის ნერვების დამბლით, ნისტაგმით, წონასწორობის დარღვევითა და ატაქსიით.* https://bit.ly/3CX03qw

[4] სახალხო დამცველის მიერ შექმნილმა სპეციალისტთა/ექსპერტთა ჯგუფმა მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის დამძიმების გამო N18 დაწესებულებაში დამატებითი ვიზიტი განახორციელა. https://bit.ly/3KN0aa6, 19.11.2021.

[5] formulanews.ge, მიხეილ სააკაშვილი გორის სამხედრო ჰოსპიტალში გადაყვანილია, https://bit.ly/3fFzTic

[6] reginfo.ge, მიხეილ სააკაშვილის გადაყვანა გლდანის ციხის საავადმყოფოში, https://bit.ly/3BPIJTj.

შემლახავ მოპყრობას, ფსიქოლოგიურ ზეწოლას, ხოლო მე-18 დაწესებულებაში გადაყვანისას დაექვემდებარა როგორც ფსიქოლოგიურ წამებას, ასევე ფიზიკურ წამებას და არანებაყოფლობითი სამედიცინო ინტერვენციის მცდელობას, რამაც პაციენტს უარი ათქმევინა სამედიცინო მომსახურებაზე, რაც რისკის ქვეშ აყენებს მის სიცოცხლეს და საჭიროებს დაუყოვნებელ ზომებს, პაციენტის სხვა სამოქალაქო კლინიკაში გადაყვანის სახით. ამავდროულად, ზეწოლის ფაქტების ინტენსიობისა და ხანგრძლივობიდან გამომდინარე, რაც შიმშილობის ხანგრძლივობასა და სამედიცინო დახმარებაზე უარის თქმაში აისახება და მიზნად ისახავს პოლიტიკურ შიურისძიებას, მიხეილ სააკაშვილის დისკრიმინაციასა და საზოგადოების დეზინფორმირებას, მივიჩნევთ, რომ კანონდარღვევები და ძალადობის გამოყენებული მეთოდები, ერთობლიობაში უნდა შეფასდეს, როგორც პატიმრობაში მყოფი პოლიტიკოსის წამება"[7].

მიხეილ სააკაშვილმა მის მიმართ პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების მხრიდან არასათანადო მოპყრობის/ფიზიკური ძალადობის ფაქტის შესახებაც განაცხადა. პარალელურად, მას არ ეძლეოდა საპროცესო უფლებებით (დაცვის უფლება) სარგებლობის შესაძლებლობა. კერძოდ, მიხეილ სააკაშვილს, 2021 წლის 10, 15 და 16 ნოემბერს, სამ სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეზე არ მიეცა სასამართლოს წინაშე წარდგომის შესაძლებლობა. სამივე შემთხვევაში, მიხეილ სააკაშვილის სასამართლოში მიყვანაზე უარი განაცხადა სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა. ბრალდებულის მიყვანაზე უარის მიზეზად პენიტენციურმა სამსახურმა მიხეილ სააკაშვილის მიერ მკურნალობის შეწყვეტა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მიმდინარე გამოძიება დაასახელა, რაც სასამართლომ დამატებითი კრიტიკული მსჯელობისა და დასაბუთების გარეშე გაიზიარა.

ორივე აღნიშნული საფუძველი დაუსაბუთებელი იყო - შიმშილობის გამო პატიმრის გადაყვანაზე უარი ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ პროტოკოლს, რომელიც, ასევე, საერთოდ არ ითვალისწინებს უსაფრთხოების მიზეზებით პატიმრის გადაყვანაზე უარის თქმას. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მიმდინარე საქმის გამოძიებაზე მითითება, გამოძიების ხანდაზმულობის 10-წლიანი ვადის გათვალისწინებით, ბრალდებულის დაცვის უფლების კანონშეუსაბამოდ, თვითნებურად და პერმანენტულად შეზღუდვის შესაძლებლობას ქმნიდა, რაც სამართლიანი სასამართლოს უფლებას უხეშად არღვევდა[8].

ექსპერტთა ჯგუფმა რამდენჯერმე მოინახულა მიხეილ სააკაშვილი. მათ შორის, ვიზიტები განხორციელდა 2021 წლის 16 და 18 ნოემბერს - სპეციალური პენიტენციური სამსახურის N18 სამკურნალო დაწესებულებაში, 23 ნოემბერსა და 12 დეკემბერს - სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალში, ხოლო 11 იანვარს და 22 აპრილს - N12 პენიტენციურ დაწესებულებაში. შესაბამისად, სახალხო დამცველის სპეციალისტთა/ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა ექვსი დასკვნა, კერძოდ: 17.11.2021, 18.11.2021, 25.11.2021, 14.12.2021, 19.01.2022 და - 27.04.2021.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ პატიმრობაში მყოფი ექსპრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის სამედიცინო მომსახურების მონიტორინგის მიზნით შექმნილი ექსპერტთა მულტიპროფილური ჯგუფის 2022 წლის 27 აპრილს გამოქვეყნებული დასკვნით, 2022 წლის 11 იანვრის ვიზიტთან შედარებით, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა „მნიშვნელოვნად გაუარესდა". ექსპერტთა დასკვნის თანახმად, მიხეილ სააკაშვილი უარყოფით კატაბოლურ მდგომარეობაშია, რაც ნიშნავს, რომ ორგანიზმი საკუთარი ორგანოების დაშლის შედეგად გამოყოფილ ცილებს მოიხმარს, რაც კუნთოვანი

[7] არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვა ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტს, 12.11.2021. https://bit.ly/3Crulkp

[8] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, ,,სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2021 წლის ანგარიში', 2022 წელი. გვ. 54.

მასის ხარჯზე წონაში კლებას იწვევს. ასევე, სახეზეა რეზისტენტული პოსტტრავმული სტრესული დაავადება – დეპრესია და ანორექსია; საკვების მიღების შემცირება; აუტანლობის მიზეზით ცილოვან პროდუქტზე შერჩევითად უარის თქმა და ცხოვრების ხარისხისა და ფუნქციონირების ეფექტურობის მნიშვნელოვანი დაქვეითება. მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი „დროული კომპლექსური ნეირო-ფსიქოლოგიური და ფიზიკური რეაბილიტაციის“ საჭიროებას უსვამს ხაზს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კუნთოვანი და ორგანული წონის მნიშვნელოვან კარგვაზე, ინფექციების მაღალ რისკზე და შინაგან ორგანოთა სისტემების მოქმედების მოშლის საშიშროებაზე საუბრობენ[9].

2022 წლის 20 აპრილს, თბილისის საქალაქო სასამართლოში, სასამართლო სხდომაზე, სადაც მიხეილ სააკაშვილის მიერ საზღვრის უკანონო კვეთის საქმე იხილებოდა, სააკაშვილმა დარბაზიდან გაყვანა და ექიმის დახმარება ითხოვა. სასამართლო სხდომის დარბაზში დაბრუნებულმა სააკაშვილმა საკუთარ ჯანმრთელობის მდგომარეობაზე საუბრისას აღნიშნა, რომ გორის სამხედრო ჰოსპიტალში მისი „ვითომ მკურნალობა იყო სრული ბლეფი“ [სტილი დაცულია], რადგანაც 50-დღიანი შიმშილობის შემდეგ, მისი ე.წ. რეფიდინგის პროგრამა „მთლიანად ჩავარდა“[10]. ამავე სასამართლო სხდომაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ, ნინო ჩახნაშვილმა ნაწილობრივ დააკმაყოფილა მიხეილ სააკაშვილის ადვოკატების შუამდგომლობა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის დირექტორს პატიმრობაში მყოფი სააკაშვილისთვის „სათანადო, ადეკვატური სამედიცინო მომსახურების გაწევა“ დაავალა. თუმცა, მოსამართლემ არ დააკმაყოფილა ადვოკატების შუამდგომლობის მეორე ნაწილი, რითაც ისინი ითხოვდნენ, სასამართლოს პენიტენციური სამსახურის დირექტორისთვის სააკაშვილთან ცენტრ „ემპათიის“ კონსილიუმის წევრების დაშვება დაევალდებულებინა[11]. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი პირის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება, ან/და თუ მოსამართლეს გაუჩნდა ეჭვი, რომ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ განხორციელდა ან შესაძლოა, განხორციელდეს წამება, დამამცირებელი ან/და არაადამიანური მოპყრობა, მოსამართლე უფლებამოსილია, განჩინებით სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალურ დირექტორს დაავალოს მისი უსაფრთხოებისათვის აუცილებელი განსაკუთრებული ზომების მიღება[12].

2022 წლის 10 მაისს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ მიხეილ სააკაშვილს შესთავაზა კლინიკა „ვივამედში“ გადაყვანა[13]. იმავე დღეს ექსპრეზიდენტის ადვოკატმა განაცხადა, რომ მიხეილ სააკაშვილი თანახმა იყო, მაგრამ - იმ პირობებით, რომ მასთან მუდმივად შეუშვებდნენ ოჯახის წევრებს, პირად ექიმს და ალტერნატიულ ექსპერტებს ცენტრ „ემპათიიდან“. ასევე, სამუშაო საათებში მასთან შესვლის უფლება უნდა ჰქონდეთ ადვოკატებს და პარლამენტის წევრებს. პირობებს შორის იყო ისიც, რომ მიხეილ სააკაშვილისთვის ჩატარებულ ყველა გამოკვლევაში, დიაგნოსტიკაში, დანიშნულების დადგენასა და მკურნალობის შემდეგი ეტაპების თუ გამოჯანმრთელების განსაზღვრაში მონაწილეობა პარიტეტული შემადგენლობით უნდა ხდებოდეს, „ემპათიის“ ჩართულობით და თანხმობის შემთხვევაში, სახალხო დამცველის მიერ შექმნილი კონსილიუმის წევრების

---

[9] სახალხო დამცველის მიერ შექმნილ სპეციალისტთა/ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა N6, მიხეილ სააკაშვილის სამედიცინო მდგომარეობის მონიტორინგის შედეგების შესახებ. https://bit.ly/3x73Cpo, 27.04.2022

[10] ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ მიხეილ სააკაშვილის სისხლის სამართლის საქმეზე მომზადებული სასამართლო სხდომების მონიტორინგის ანგარიშები; ასევე, იხ.: mtavari.tv, მიხეილ სააკაშვილი სასამართლო დარბაზში შეუძლოდ გახდა : https://bit.ly/3aolbK9, 20.04.2022.

[11] ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ მიხეილ სააკაშვილის სისხლის სამართლის საქმეზე მომზადებული სასამართლო სხდომების მონიტორინგის ანგარიშები.

[12] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 191-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილი.

[13] Interpressnews.ge, იუსტიციის სამინისტრო მიხეილ სააკაშვილს კლინიკა „ვივამედში“ გადაყვანას სთავაზობს https://bit.ly/3zd70lm, 10.05.2022.

მონაწილეობით[14].

2022 წლის 12 მაისს მიხეილ სააკაშვილი რუსთავის მე-12 პენიტენციური დაწესებულებიდან თბილისში, კლინიკა „ვივამედში“ გადაიყვანეს[15], სადაც იგი ექიმთა მეთვალყურეობის ქვეშაა და ხანგრძლივ მკრუნალობას გადის. ამჟამად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას ამერიკელი და შვეიცარიელი ექიმები იკვლევენ[16]. ვინაიდან ექსპერტთა შეფასებით, საქართველოში მესამე პრეზიდენტის ჯანმრთელობის დაცვის უფლება სათანადოდ რეალიზებული არაა და სახელმწიფო არ/ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს აღნიშნული კუთხით, რისკების თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია, მესამე პრეზიდენტის სამკურნალო მიზნებისთვის უცხოეთში გადაუდებელი გადაყვანა[17].

მიხეილ სააკაშვილის მკურნალობაში უცხოელი ექსპერტების ჩართვის შესახებ, იუსტიციის მინისტრმა, რატი ბრეგაძემ განაცხადა, რომ „საქართველოშიც არის ძალიან ბევრი მაღალკვალიფიციური ექიმი“[18]. რაც შეეხება, ექსპერტთა ჩართვასთან დაკავშირებით დაცვის მხარის მიერ განხორციელებულ ქმედებებს, 2022 წლის 18 თებერვალს, ცენტრ „ემპათიის“ დირექტორმა, მარიამ ჯიშკარიანმა წერილობითი განცხადებით მიმართა სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს დირექტორს, ზაალ კაპანაძეს, დიდი ბრიტანეთიდან მოწვეული ფსიქიატრის, პროფესორ კორნელიუს კატონასათვის, 6 თვის ვადით, დროებითი ლიცენზიის მინიჭების თაობაზე, რათა მას მონაწილეობა მიეღო პატიმრობაში მყოფი ექსპრეზიდენტის სამედიცინო ექსპერტიზაში. სააგენტომ ეს მოთხოვნა 2022 წლის 24 ივნისს დააკმაყოფილა. უცხოელი ექსპერტების დასკვნასთან დაკავშირებით კი, რომელიც ჯერ არ გამოქვეყნებულა, იუსტიციის მინისტრის განცხადებით, „როგორიც არ უნდა იყოს დასკვნა, სასჯელის გადავადებაზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო“. ამასთან, მისი განცხადებით, ისინი აპირებენ, მიმართონ სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს, რომ მიხეილ სააკაშვილს ჩაუტარდეს კომპლექსური ექსპერტიზა[19].

2022 წლის 3 ოქტომებერს, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესასწავლად, საქართველოში სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი - ჯეიმს კობი ჩამოვიდა. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში აცხადებდნენ, რომ თავდაპირველად ჯეიმს კობის სამუშაო აქტივობის დამადასტურებელი დოკუმენტები სრულად არ იყო წარმოდგენილი, რის გამოც პროფესიული განვითარების საბჭომ საქმეში ჩასართავად მისი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. თუმცა, ადვოკატები და ცენტრი „ემპათია“ საპირისპიროზე საუბრობდნენ, რომ მიზანმიმართულად ხდებოდა შეყოვნება[20]. შემდეგ კი ცენტრმა „ემპათიამ“ ჯეიმს კობის საქმიანობასთან დაკავშირებით დამატებითი დოკუმენტები წარადგინა და ჩამოსვლიდან მე-5 დღეს, პროფესორ კობის, ასევე მეორე ამერიკელ ექსპერტს, რომელიც დისტანციურად მიიღებს მონაწილეობას, 6-თვიანი დროებითი ლიცენზია მიენიჭა[21].

---

[14] radiotavisupleba.ge, მიხეილ სააკაშვილი სამედიცინო ცენტრ „ვივამედში“ გადაიყვანეს, https://bit.ly/3zgqCFg, 12.05.2022.

[15] formulanews.ge, მიხეილ სააკაშვილი კლინიკა ვივამედში გადაიყვანეს, https://bit.ly/3m8gl0z, 12.05.2022.

[16] Interpressnews.ge, მიხეილ სააკაშვილთან კლინიკა „ვივამედში“ ამერიკელი ექსპერტი შევიდა, 29.08.2022. https://bit.ly/3BejObU

[17] on.ge, ცენტრ ემპათიის ექიმებმა სააკაშვილი კლინიკა ვივამედში მოინახულეს, https://bit.ly/3C2HRJV 01.06.2022.

[18] mtavari.tv, "საქართველოში გვყავს ძალიან ბევრი მაღალკვალიფიციური ექიმი" - ბრეგაძე მიხეილ სააკაშვილის უცხოეთში გადაყვანაზე, https://bit.ly/3D1Xa7Z, 10.05.2022.

[19] Tvpirveli.ge, იუსტიციის მინისტრის განცხადება, https://bit.ly/3RHaMtq, 29.08.2022.

[20] radiotavisupleba.ge, "მდგომარეობა ყოველდღიურად უარესდება“ - სააკაშვილის დროებით გათავისუფლების ორი თეორიული გზა, https://bit.ly/3CXbcY9, 07.10.2022.

[21] interpressnews.ge, ამერიკელი ექიმი ჯეიმს კობი მიხეილ სააკაშვილისთვის გამოკვლევების ჩასატარებლად კლინიკა „ვივამედში“ შევიდა, https://bit.ly/3fZzCHh, 08.10.2022.

2022 წლის 8 ოქტომბერს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტმა ჯეიმს კობიმ მიხეილ სააკაშვილი გასინჯა. ექსპერტის განცხადებით, საჭიროა ბევრი გამოკვლევა, რომელიც შედეგიანი იქნება იმ შემთხვევაში, თუ ჩატარდება მოთხოვნების შესაბამისად. მისივე თქმით, სააკაშვილს სჭირდება მაღალი დონის სამედიცინო მომსახურება და არ არსებობს მიზეზი, რომლის გამოც ის უნდა გრძნობდეს თავს ისე ცუდად, როგორც ახლა არის. ამასთან, ექსპერტმა აღნიშნა, პირველ რიგში, საჭიროა, დაზუსტდეს, რა ტესტებია ჩასატარებელი, შემდეგ კი ის, სად ჩაატარებენ მათ[22].

ადამიანის უფლებათა ცენტრი მიხეილ სააკაშვილის დაკავების დღიდანვე აქტიურად უწევს მონიტორინგს თბილისის საქალაქო სასამართლოში მესამე პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების განხილვას.

პენიტენციური სისტემის ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და ეროვნული რეგულაციები

თავისუფლებააღკვეთილი პირების ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობა განსაზღვრულია როგორც საერთაშორისო სტანდარტებით[23], ასევე ეროვნული კანონმდებლობით. მიუხედავად პირის სოციალური და სამართლებრივი სტატუსისა, ჯანმრთელობის უფლება წარმოადგენს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას და განსაკუთრებული ადგილი უკავია ჯანმრთელობის დაცვის ადეკვატური სტანდარტების ჩამოყალიბებაში[24]. ის არ არის დაკავშირებული მხოლოდ სამედიცინო სერვისების მიწოდებასთან, არამედ გულისხმობს: ადეკვატური სანიტარული და ჰიგიენური პირობებით, უსაფრთხო წყლით, უვნებელი და ადეკვატური საკვებით უზრუნველყოფას. ჯანმრთელობის უფლება მოიცავს პიროვნების გარკვეულ დაცვას: თანხმობის გარეშე სამედიცინო მკურნალობისაგან, სამედიცინო ექსპერიმენტებში და კვლევებში მონაწილეობისგან, წამებისაგან და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა ან სასჯელისაგან.

ჯანმრთელობის უფლებიდან გამომდინარე, პიროვნებას გააჩნია: დაავადებების პრევენციის, მკურნალობისა და კონტროლის უფლება; ძირითად მედიკამენტებზე და ჯანდაცვის სისტემის ძირითად მომსახურებაზე თანაბარი და დროული ხელმისაწვდომობის უფლება; პიროვნების ჯანმრთელობასთან დაკავშირებული და ჯანდაცვის საკითხებზე ინფორმირებულობის უფლება[25].

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის, აგრეთვე წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) მიერ ჩატარებული სამუშაოების და მის ყოველწლიური ანგარიშებში გამომუშავებული სტანდარტების გათვალისწინებით, ევროპის საბჭომ 2006 წელს დაამტკიცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესების ევროპული ვერსია - ევროპული ციხის წესების (EPP) ახალი რედაქცია[26].

---

[22] on.ge, ჯეიმს კობის მიხეილ სააკაშვილთან შესვლის უფლება მისცეს — რა თქვა ექიმმა, https://bit.ly/3MqxFzF, 08.10.2022.

[23] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები). https://bit.ly/3awhphD

[24] UN Office of the High Commissioner for Human Rights (OHCHR), Fact Sheet No. 31, The Right to Health, June 2008, No. 31, a . https://bit.ly/3PT4iaN

[25] UN General Assembly, United Nations Standard Minimum Rules for the Treatment of Prisoners (the Nelson Mandela Rules) : resolution / adopted by the General Assembly, 8 January 2016, A/RES/70/175. https://bit.ly/3awhphD

[26] Council of Europe: Committee of Ministers, Recommendation Rec(2006)2 of the Committee of Ministers to Member States on the European Prison Rules, 11 January 2006, Rec(2006). https://bit.ly/3x6h6BL

„ევროპული ციხის წესების“ მესამე ნაწილში განსაზღვრულია პენიტენციურ სისტემაში ჯანდაცვის სერვისების უზრუნველყოფის და ორგანიზების (პუნქტი 39-40, 46-48) და სამედიცინო პერსონალის ვალდებულებების (პუნქტი 41-44) საკითხები.

„ევროპული ციხის წესები“ ხაზგასმით აღნიშნავს ციხის ადმინისტრაციის ვალდებულებას, უზრუნველყოს ყველა პატიმრის ჯანმრთელობა (პუნქტი 39) და ციხის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა. პენიტენციური სისტემის სამედიცინო სამსახური უნდა იყოს ორგანიზებული სამოქალაქო ჯანდაცვასთან ახლო თანამშრომლობით. პენიტენციური ჯანდაცვის პოლიტიკა უნდა იყოს ინტეგრირებული და შეესაბამებოდეს ეროვნული ჯანდაცვის პოლიტიკას. პატიმრებს, მათი სამართლებრივი მდგომარეობის საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე, ხელი უნდა მიუწვდებოდეთ ქვეყანაში არსებულ ჯანდაცვის სერვისებზე (პუნქტი 40). ყველა პენიტენციური დაწესებულება უნდა სარგებლობდეს მინიმუმ ერთი კვალიფიცირებული ზოგადი პროფილის ექიმის მომსახურებით და უნდა ჰყავდეს ჯანდაცვის სფეროში სათანადოდ მომზადებული სამედიცინო პერსონალი (პუნქტი 41). პატიმრებს უნდა გაეწიოთ ყველა საჭირო სამედიცინო მომსახურება. თუკი ასეთი მკურნალობის შესაძლებლობა არ არსებობს ციხეში, ავადმყოფი პატიმრები, უნდა გადაიყვანონ სპეციალიზებულ დაწესებულებებში ან სამოქალაქო საავადმყოფოში (პუნქტი 46).

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებების დაცვის მრავალრიცხოვანი საერთაშორისო ხელშეკრულება და სტანდარტი განსაზღვრავს ჯანმრთელობის უფლებას, ამ უფლების იმპლემენტაციისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ეროვნულ საკანონმდებლო და ნორმატიულ დოკუმენტებს.

საქართველოში პენიტენციურ სისტემაში ჯანმრთელობის დაცვის საკანონმდებლო რეგულაცია ეფუძნება ადამიანის უფლებების საერთაშორისო ნორმებს და სტანდარტებს. პენიტენციურ სისტემაში განთავსებული პირების უფლებები განსაზღვრულია სამოქალაქო ჯანმრთელობის დაცვის ისეთ ფუნდამენტურ დოკუმენტებში, როგორებიცაა: საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ[27], საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ[28], საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ[29], აგრეთვე - საქართველოს პატიმრობის კოდექსში[30] და სხვა ნორმატიულ აქტებში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა საპატიმროში მოთავსებულ პირებს მოწყვლად პოზიციაში მყოფებად მიიჩნევს და მთავრობებს თავისუფლებააღკვეთილ პირთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დაცვას ავალდებულებს[31]. საპატიმროში მყოფ პირთა სიცოცხლის დაცვა აგრეთვე მოიცავს სახელმწიფოს ვალდებულებას ამ კატეგორიის პირთა სიცოცხლის დაცვისთვის აუცილებელი სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფის თაობაზე. ამასთანავე, თავისუფლებააღკვეთილ პირთა მკურნალობის ვალდებულებაც სახელმწიფოს ეკისრება[32]. თავისუფლების აღკვეთის ადგილებში პიროვნების ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება აუცილებლობით და ავტომატურად ქმნის დაეჭვების სერიოზულ საფუძველს - ხომ არ იყო განპირობებული ის დაწესებულებაში არსებული სამედიცინო

---

[27] საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ. 10.12.1997.
[28] საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ. 05.05.2000.
[29] საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ. 08.06.2001.
[30] საქართველოს კანონი პატიმრობის კოდექსი. 09.03.2010.
[31] .Naumenko v. Ukraine, no. 42023/98, § 112, 10 February 2004; and Dzieciak v. Poland, no. 77766/01, § 91, 9 December 2008.
[32] Taïs v. France, no. 39922/03, § 98, 1 June 2006; and Huylu v. Turkey, no. 52955/99, § 58, 16 November 2006).

მკურნალობის არაადეკვატური პირობებით[33].

კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულებები სახელმწიფოს რეგულაციების შემუშავებას სთხოვს. ეს რეგულაციები, პაციენტთა სიცოცხლის დასაცავად, სამოქალაქო პროფილისა და ციხის საავადმყოფოებს, ზემოაღნიშნული მოთხოვნიდან გამომდინარე, შესაბამისი ზომების გატარებას ავალდებულებს[34].

არასათანადო სამედიცინო მომსახურება და სავარაუდო არასათანადო მოპყრობა

2021 წლის 8 ნოემბერს, გლდანის N18 დაწესებულებაში შესახლების შემდეგ, სახალხო დამცველის მიერ მიხეილ სააკაშვილის მონახულებისას, პატიმარმა განმარტა, რომ N18 დაწესებულებაში მისი შესახლება მის მიმართ ძალის გამოყენებით განხორციელდა[35]. შეხვედრისას მიხეილ სააკაშვილმა სახალხო დამცველს განუცხადა, რომ მას არ ჰქონდა ინფორმაცია N18 დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ, ვინაიდან N12 დაწესებულებაში შეატყობინეს, რომ კონსილიუმის გადაწყვეტილებით, მულტიფუნქციურ, სამოქალაქო კლინიკაში გადაყავდათ, რასაც იგი დათანხმდა. პატიმარმა განმარტა, რომ იგი, მისი უარის მიუხედავად, ძალის გამოყენებით შეასახლეს N18 დაწესებულებაში. ამ ფაქტთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატმა დაუყოვნებლივ აცნობა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს, რომელმაც თავის მხრივ მიხეილ სააკაშვილის მიმართ განხორციელებული შესაძლო არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

მიხეილ სააკაშვილი სამკურნალო მიზნებისთვის მოათავსეს ისეთ დაწესებულებებში, სადაც არ იყო უზრუნველყოფილი ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის უფლება. სახალხო დამცველის აპარატმა N18 დაწესებულების შემოწმებისას დაადგინა, რომ დაწესებულებაში არსებული ვითარება, სამედიცინო უზრუნველყოფის კუთხით, არ შეესაბამებოდა ექიმთა მულტიფუნქციური ჯგუფის მიერ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ გაცემულ 2021 წლის 3 ნოემბრისა და 28 ოქტომბრის დასკვნებსა და რეკომენდაციებს. კანონმდებლობის თანახმად, საპატიმრო დაწესებულებებში გაწეული სამედიცინო მკურნალობა უნდა იყოს იმ დონის შესაბამისი, რასაც სახელმწიფო უზრუნველყოფს ზოგადად მოსახლეობისათვის. თუმცა, აღნიშნული უფლება სააკაშვილის მიმართ უხეშად დაირღვა.

მიხეილ სააკაშვილი ვერ იღებდა სათანადო სამედიცინო მომსახურებას, მიუხედავად კონსილიუმის დასკვნებისა და ექიმთა არაერთი მოწოდებისა, რომ ჩატარებოდა ჯანმრთელობის მდგომარეობის მართვისთვის საჭირო სამედიცინო გამოკვლევები და მკურნალობა (მათ შორის, თავის ტვინის MRI კვლევა). გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ცენტრმა „ემპათიამ“ გამოსცა სპეციალური დასკვნა კვების აღდგენის პერიოდის რისკებისა და რეკომენდაციების შესახებ, რომელიც გადაეცა იუსტიციისა და ჯანდაცვის სამინისტროებს 12/11/2021 წელს, მაგრამ პაციენტი კვლავ არ გადაიყვანეს შესაბამის კლინიკაში, რამაც გაახანგრძლივა მისი საპროტესტო შიმშილობა. ამგვარი მოპყრობა არღვევს მსჯავრდებულის/ბრალდებულის უფლებას, რომ საქართველოს კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის თანახმად, იგი დროულად იქნეს უზრუნველყოფილი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისთვის აუცილებელი სამედიცინო დახმარებით, ყველა გონივრულად

[33] Farbtuhs v. Latvia, no. 4672/02, § 57, 2 December 2004; and Khudobin v. Russia, no. 59696/00, § 84, ECHR 2006-XII.
[34] Tarariyeva v. Russia, no. 4353/03, § 74, 85 and 87, ECHR 2006-XV.
[35] Tvpirveli.ge, მიხეილ სააკაშვილის გლდანის ციხეში ძალის გამოყენებით გადაყვანის კადრები, https://bit.ly/3RHDKJI, 11.11.2021.

შესაძლო სამედიცინო გამოკვლევითა და მკურნალობით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის თანახმად, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი პირი დროულად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისთვის აუცილებელი სამედიცინო დახმარებით, ყველა გონივრულად შესაძლო სამედიცინო გამოკვლევითა და მკურნალობით. საპატიმრო დაწესებულებებში გაწეული სამედიცინო მკურნალობა უნდა იყოს იმ დონის შესაბამისი, რასაც სახელმწიფო უზრუნველყოფს ზოგადად მოსახლეობისათვის. ეს არ ნიშნავს იმას, რომ თავისუფლებააღკვეთილი ყველა პირი უნდა მოთავსდეს ციხის დაწესებულებების გარეთ არსებულ საუკეთესო სამედიცინო დაწესებულებაში. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, პატიმრის ჯეროვანი მკურნალობისათვის სამოქალაქო საავადმყოფოში გადაყვანაზე გაუმართლებელმა უარმა, შესაძლოა, წარმოშვას ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის საფრთხეები. თავისუფლებააღკვეთილი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების ფაქტი, ცალკე აღებული, ცხადია არ არის საკმარისი საპატიმრო დაწესებულებაში გაწეული მკურნალობის არაეფექტიანად შესაფასებლად, მაგრამ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრმა გაუარესებამ შესაძლოა, გააჩინოს ეჭვი დაწესებულებაში გაწეული სამედიცინო მომსახურების ადეკვატურობასთან დაკავშირებით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გარემოს, რომელშიც მიხეილ სააკაშვილი მოათავსეს და რომელიც უხეშად არღვევს ადამიანის ღირსების უფლებას. კერძოდ, მასზე ხდებოდა ზეწოლა და მის მიმართ ხორციელდებოდა დისკრედიტაციული კამპანია ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან. მოხდა დაგეგმილი ვიდეოგადაღება და გასაჯაროება სამედიცინო ოთახიდან, თუ როგორ იღებს საკვებ დანამატებს შიმშილობის დროს, ასევე გასაჯაროვდა მისი საკნიდან ვიდეომასალა, თუ როგორ ალაგებს პირად ნივთებს. იგი რეანიმობილით გადაიყვანეს მე-18 ციხის სამკურნალო დაწესებულებაში, სადაც მასზე განხორციელდა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა, შეურაცხყოფა, პატიმართა და ადმინისტრაციის ორკესტრირებული შეტევა ხმაურისა და ლანძღვა-გინების სახით, რაც შემდეგშიც ხორციელდებოდა მე-18 დაწესებულებაში ყოფნისას. პატიმრის განმარტებით, მას საძილე პრეპარატის სახით ეძლეოდა მედიკამენტი - ანტიფსიქოზური მოქმედების ნეიროლეპტიკი, რომლის მოქმედების მექანიზმი მისთვის უცნობი იყო. აღნიშნულ მედიკამენტს იგი 02/10/2021-დან, იღებდა მთელი შიმშილობის პერიოდში და შემდეგაც, გორის სამხედრო ჰოსპიტალში, 27/11/2021 წლამდე. მისთვის ამ პრეპარატის გვერდითი მოვლენები უცნობი იყო.

აგრეთვე, პატიმარს მე-18 დაწესებულებაში, ფაქტობრივად, არ ჰქონდა ბუნებრივი ძილის საშუალება, ვიანიდან როგორც კი ტელევიზორს თიშავდა, ან/და სარკმელს აღებდა, იმწუთშივე იწყებოდა სხვა პატიმრების მხრიდან ხმაური და მისი მისამართით უშვერი ლანძღვა-გინება. მე-12 დაწესებულებაში მოტყუებით ვიდეოგადაღებისა და აღნიშნულის გასაჯაროების შემდეგ, მან შეწყვიტა საკვები დანამატების მიღება, გაამკაცრა შიმშილობა, რამაც მისი მდგომარეობა დაამძიმა.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ფაქტზე, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ საზოგადოებისთვის მიწოდებული ინფორმაციის შინაარსმა (რომ მიხეილ სააკაშვილი იღებდა საკვებს, რომელიც არ იყო სამედიცინო დანიშნულების) საზოგადოების ნაწილში შექმნა მცდარი აზრი მისი მოჩვენებითი შიმშილობის შესახებ, მაშინ როდესაც საპირისპირო დასტურდება სამედიცინო დოკუმენტებით - ამ დროისთვის, მიხეილ სააკაშვილს შიმშილობა შეწყვეტილი არ ჰქონდა და კონსილიუმის წევრების მიერ გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე, იგი სამედიცინო პუნქტში, ჯანმრთელობის მდგომარეობის გართულების პრევენციის მიზნით,

ექიმების მეთვალყურეობით, იღებდა სხვადასხვა სახის წვენებსა და პიურეებს. შესაბამისად, პატიმრის მიერ საკვები დანამატების მიღების შესახებ, ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდება, იმ მნიშვნელოვანი დეტალის გარეშე, რომ აღნიშნული ხორციელდებოდა ექიმთა კონსილიუმის რეკომენდაციით, ვერ იქნება მიჩნეული კანონიერად. მით უფრო, იმ წინასწარ განჭვრეტადი შედეგის გათვალისწინებით, რაც გამოიწვია არაზუსტი ინფორმაციის გავრცელებამ - მინისტრის მხრიდან ამ მოცემულობის არასწორი ინტერპრეტაციით გასაჯაროებამ, მოშიმშილე პატიმრის მხრიდან რადიკალური ზომების მიღება განაპირობა და პატიმარმა შეწყვიტა სამედიცინო პერსონალის მიერ დანიშნული დანამატების და მედიკამენტების მიღება, რამაც შექმნა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების საფრთხე.

საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, სახელმწიფოს მსგავსი ქმედებები არა მხოლოდ კონკრეტული პატიმრის, არამედ ყველა სხვა პატიმრისთვის დამაზიანებელ მოქმედებად უნდა შეფასდეს, ვინაიდან იგი უდიდეს დარტყმას აყენებს პატიმართა ნდობას სამედიცინო პერსონალისადმი და უბიძგებს პატიმრებს, არ მიიღონ სამედიცინო დანიშნულება, რაც მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის კიდევ უფრო მეტად დამძიმებას გამოიწვევს[36].

ამასთან, პატიმრის განმარტებით, მე-18 დაწესებულებაში გადაყვანისას, მას მიაყენეს უკიდურესად მძიმე შეურაცხყოფა მოტყუების, ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობის სახით, დაუპირეს იძულებითი სამედიცინო მანიპულაცია, რასაც მოჰყვა საპროტესტო შიმშილობის გამკაცრება. იგი პერიოდულად უარს ამბობდა მედიკამენტების, მინერალების მიღებაზე, სამედიცინო მომსახურებაზე, რამაც კვლავ დაამძიმა მისი მდგომარეობა. 2021 წლის 18 ნოემბერს ამას მოჰყვა გულყრა და გონება დაკარგვის ეპიზოდი, შეიქმნა მისი სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობა. იმავეს იგი განიცდიდა უსაფრთხოების არარსებობისა და მის მიმართ მტრულად განწყობილი გარემოს მხრიდან[37].

აღსანიშნია, რომ სახელმწიფო ინსპექტორის გადაწყვეტილებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრათ, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის რამდენიმე ეპიზოდისთვის, რაც საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის პერსონალური მონაცემების მოპოვებისა და გასაჯაროების კანონიერების შესწავლის საკითხს უკავშირდებოდა[38].

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაადგინა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ და სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა მიხეილ სააკაშვილის პერსონალური მონაცემები - ინფორმაცია მიხეილ სააკაშვილის მიერ პენიტენციური დაწესებულების მაღაზიაში შეძენილი და მოხმარებული პროდუქტებისა და მისი კვების რაციონის შესახებ, მიხეილ სააკაშვილის მიერ სამედიცინო პუნქტში საკვების მიღების ფაქტების ამსახველი ვიდეოჩანაწერი და გარკვეული საკვები დანამატების ამსახველი ფოტომასალა, მიხეილ სააკაშვილის მიერ №12 პენიტენციური დაწესებულების დატოვებისა და მისი №18 პენიტენციურ დაწესებულებაში შესახლების ამსახველი ვიდეოჩანაწერი, ასევე, №12 პენიტენციური დაწესებულებიდან №18 პენიტენციურ დაწესებულებაში, ტრანსპორტირების მიზნით გამოყენებულ რეანიმობილში განვითარებული მოვლენების

[36] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2021 წლის ანგარიში“, გვ.50.

[37] იხ. გლდანის ციხის პატიმრების აგრესია მიხეილ სააკაშვილის მისამართით [ვიდეო], მთავარი არხი. https://bit.ly/3GFjy5x, 08.11.2021.

[38] სახელმწიფო ინსპექტორის გადაწყვეტილება საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პერსონალური მონაცემების მოპოვებისა და გასაჯაროების კანონიერების შესახებ, https://bit.ly/3eqn7DT, 07.12.2021.

ამსახველი აუდიო-ვიდეოჩანაწერი - გაასაჯაროეს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის ,,ა“ (მონაცემები უნდა დამუშავდეს სამართლიანად და კანონიერად, მონაცემთა სუბიექტის ღირსების შეულახავად), ,,ბ“ (მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისთვის), ,,გ“ (მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად) და ასევე, ,,დ“ (მონაცემები ნამდვილი და ზუსტი უნდა იყოს და, საჭიროების შემთხვევაში, უნდა განახლდეს) ქვეპუნქტების დარღვევით.

აღსანიშნია, რომ 2021 წლის 30 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმების შესახებ“ კანონპროექტი დაამტკიცა მესამე მოსმენით, რის საფუძველზეც სამსახურმა მუშაობა 2022 წლის 1 მარტიდან შეწყვეტა. საქართველოს პარლამენტმა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ნაცვლად ორი ახალი უწყება შექმნა. კანონპროექტი მომზადდა გაუმჭვირვალედ, კონსპირაციულად და დაინტერესებულ მხარეებთან წინასწარი კონსულტაციის გარეშე. მისი შემუშავებისა და ინიცირების შესახებ უცნობი იყო როგორც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სფეროს სხვა სპეციალისტებისთვის. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმების არგუმენტად დასახელდა ის, რომ სამსახურში ორი ფუნქციის - პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და საგამოძიებო ფუნქციის თავმოყრა იწვევდა ინტერესთა კონფლიქტს და საფრთხეს უქმნიდა მონაცემთა დაცვას. ამის არგუმენტად აღინიშნა, რომ ამით სრულდება არასამთავრობო სექტორის მიერ 2018 წელს გაცემული რეკომენდაცია დამოუკიდებელი საგამოძიებო სამსახურის შექმნის შესახებ.

საინტერესოა, რომ ინტერესთა შეუთავსებლობის პრობლემა საქართველოს პარლამენტმა 2018 წელს ვერ დაინახა. შესაბამისად, არასამთავრობო ორგანიზაციების არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, არცერთი რეკომენდაცია არ ჩათვალა ყურადსაღებ არგუმენტად. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციები მხოლოდ მწვავე პოლიტიკური პროცესებისა და განსაკუთრებით კი მიხეილ სააკაშვილის მიმართ განვითარებულ მოვლენებზე მიღებული გადაწყვეტილებებისას გახდა აქტუალური, როდესაც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ინსტიტუტი, მხოლოდ კანონისა და საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად ახორციელებდა საქმიანობას[39].

პენიტენციურ დაწესებულებაში შესვლისას შეურაცხყოფის ხმები დააფიქსირეს სახალხო დამცველმა და მისმა წარმომადგენლებმაც. მსგავსი ვითარება გაგრძელდა პატიმრის მთელი იქ ყოფნის განმავლობაში და ანალოგიურ ვერბალურ აგრესიას მიხეილ სააკაშვილის ადვოკატები, სახალხო დამცველი თუ სხვა ვიზიტორებიც დაექვემდებარნენ[40]. სახალხო დამცველმა თავის განცხადებებში არაერთხელ აღნიშნა, რომ პატიმრის N12 დაწესებულებიდან N18 დაწესებულებაში გადაყვანა გამოიწვევდა N8 და N18 დაწესებულებების დეზორგანიზაციას, ვერბალური აგრესიის, ხმაურისა და შეურაცხყოფის მნიშვნელოვანი საფრთხის გამო. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის აპარატმა შეამოწმა N18 დაწესებულებაში პატიმართა შეყვანის შესახებ დოკუმენტაცია, რის შედეგადაც დადგინდა, რომ ამ დაწესებულებაში 2021 წლის 18 იანვრის შემდეგ ექსპრეზიდენტის გადაყვანის დღემდე, N12 პენიტენციური დაწესებულების არცერთი სხვა პატიმარი, გარდა მიხეილ სააკაშვილისა, არ შეუყვანიათ[41].

---

[39] არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესაძლო გაუქმებასთან დაკავშირებით, https://bit.ly/3y6cs87, 26.12.2021.

[40] იხ. ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/3IY9WVA , 10.11.2021.

[41] სახალხო დამცველმა პენიტენციური სამსახურის N18 სამკურნალო დაწესებულებაში მიხეილ სააკაშვილი მოინახულა. https://bit.ly/3wYDD4s, 09.11.2021.

ღირსების უფლება განამტკიცებს იმგვარ წესრიგს, რომელშიც მთავარი ღირებულება არის ადამიანი, როგორც თვითმყოფადი, თავისუფალი და სხვა ადამიანების თანასწორი სუბიექტი. ადამიანის ღირსების დაცვა არის ის, რაც უპირობოდ ეკუთვნის ყველა ადამიანს სახელმწიფოსაგან. ღირსებაში იგულისხმება სოციალური მოთხოვნა სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის რესპექტირებაზე. კონფლიქტი ღირსების უფლებით დაცულ სიკეთესა და კონსტიტუციით დასაცავ ნებისმიერ სხვა ღირებულ ინტერესს შორის, იმთავითვე და უპირობოდ უნდა გადაწყდეს ადამიანის ღირსების სასარგებლოდ[42]. N18 სამედიცინო დაწესებულებაში მიხეილ სააკაშვილის მისი ნების საწინააღმდეგოდ, ძალის გამოყენებით შესახლების ამსახველი კადრები, რომელიც გავრცელდა იუსტიციის სამინისტროს მიერ, სრულად და უწყვეტად არ ასახავდა რელევანტურ ეპიზოდს, ხოლო კომპილაციაში მოხვედრილ რამდენიმე ეპიზოდში პატიმარი ნახევრად შიშველ, დამამცირებელ მდგომარეობაში იყო აღბეჭდილი. იუსტიციის მინისტრის განცხადებით, ვიდეოჩანაწერების ნაკრების გავრცელება მიზნად ისახავდა ადვოკატის განცხადებების უარყოფას მიხეილ სააკაშვილის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით. თუმცა, აქ მნიშვნელოვანია იმის შეფასება, რომ აბსტრაქტულ ლეგიტიმურ მიზანზე მითითებით და სრულიად არაპროპორციული, შეურაცხმყოფელი ფორმით პატიმარ მიხეილ სააკაშვილის კადრების გავრცელებით, დაირღვა მისი პატივის, ღირსებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საპასუხოდ, შესაძლებელი იყო შერჩეულიყო უფლების ნაკლებად მზღუდავი სხვა საშუალება.

მიხეილ სააკაშვილს არაადეკვატური სამედიცინო მომსახურების შედეგად გახანგრძლივებული შიმშილობის პერიოდში განუვითარდა ისეთი დაავადებები, როგორებიცაა: ვერნიკეს ენცეფალოპათია, პოსტტრავმული სტრესული აშლილობა, დაუზუსტებელი ცილოვან-ენერგეტიკული უკმარისობა და ა.შ. ამ დიაგნოზის თაობაზე მითითებულია ცენტრ ემპათიის „ფსიქო-ფიზიკური ჯანმრთელობის შესახებ დასკვნასა და რეკომენდაციებში N 03-12/21“.

სააკაშვილისთვის არაადეკვატური სამედიცინო მომსახურების მიწოდება ეწინააღმდეგება ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ, სააკაშვილის საქმეზე გამოქვეყნებულ გადაწყვეტილებას „დროებითი ზომების შესახებ“[43], სადაც ხაზგასმულია, რომ სააკაშვილს უნდა გაეწიოს სათანადო სამედიცინო მომსახურება პოსტ-შიმშილობის პერიოდში.

დაირღვა მიხეილ სააკაშვილის, როგორც პაციენტის, უფლება კონფიდენციალურობაზე. კერძოდ: სააკაშვილმა მე-12 პენიტენციური დაწესებულების სამედიცინო დეპარტამენტის ხელმძღვანელის რჩევის საფუძველზე მიიღო საკვები დანამატი დაწესებულების სამედიცინო ნაწილის ოთახში, სადაც კამერების საშუალებით გადაღებულ იქნა ვიდეო, რომელიც შემდგომ იუსტიციის სამინისტრომ საზოგადოების წინაშე გასააჯაროვა როგორც საკვების მიღების ფაქტი. გარდა ამისა, სააკაშვილმა გლუკოზის ტოლერანტობის ტესტის ჩატარების მიზნით, ენდოკრინოლოგის დანიშნულებისამებრ მიიღო მცირე ოდენობის ლიმონათი, რომელიც 30 ოქტომბერს, მმართველი პარტიის ლიდერის, ირაკლი კობახიძის მხრიდან დეზინფორმაციულად გასაჯაროვდა, როგორც სააკაშვილის ,,სიმულაციური და ცრუ შიმშილობის'' დამადასტურებელი ფაქტი[44]. ,,პაციენტის უფლებების შესახებ'' საქართველოს კანონის 27-ე მუხლის თანახმად, სამედიცინო მომსახურების გამწევი

[42] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2/389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, II-30. https://bit.ly/3AVgRvz.

[43] radiotavisupleba.ge, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება დროებითი ღონისძიების გამოცემის შესახებ: https://bit.ly/3RBj2ek, 10.11.2021.

[44] Rustavi2.ge, შიმშილობის იმიტირებული ქრონიკაა, კაცი არ შიმშილობს და რა უნდა დამძიმდეს - ირაკლი კობახიძე მიხეილ სააკაშვილზე, https://bit.ly/3KR1AjZ. 27.10.2021.

ვალდებულია, პაციენტის შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალობა დაიცვას. ამავე კანონის 21-ე მუხლის თანახმად, ქმედუნარიან პაციენტს უფლება აქვს, გადაწყვიტოს, მიიღოს თუ არა ვინმემ ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. მიხეილ სააკაშვილის მიმართ აღნიშნული უფლებაც დაირღვა.

მიხეილ სააკაშვილთან 2022 წლის იანვრის თვის შემდეგ არ უშვებენ მის პირად ექიმს - ნიკოლოზ ყიფშიძეს. განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ მიხეილ სააკაშვილი ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების გამო მკურნალობდა გორის სამხედრო ჰოსპიტალში, ამჟამად მოთავსებულია კლინიკა ,,ვივამედში'' და დღესაც ინტენსიურ რეაბილიტაციას საჭიროებს, მნიშვნელოვანია, მას ჰქონდეს შესაძლებლობა, მის მიერ არჩეულმა ექიმებმა მოინახულონ და გაუწიონ სამედიცინო მომსახურება. სააკაშვილის მიმართ ამგვარი მოპყრობა არღვევს ,,პაციენტის უფლებების შესახებ'' საქართველოს კანონს, რომელიც პაციენტს ჯანმრთელობის დაცვის უფლების ფარგლებში, უფლებას ანიჭებს, აირჩიოს და ნებისმიერ დროს შეიცვალოს სამედიცინო მომსახურების გამწევი[45]. ყურადსაღებია ისიც, რომ ცენტრ „ემპათიასაც“ არ მიეცა 30/12/2021-დან 17/01/2022-მდე დროის შუალედში მიხეილ სააკაშვილის კონსულტირების შესაძლებლობა, რის შესახებაც აღნიშნულია დანიშნულება 17.01.2022-შიც.

მიხეილ სააკაშვილის საზღვარგარეთ მკურნალობის საჭიროების არსებობის შესახებ

მიხეილ სააკაშვილს ესაჭიროება კომპლექსური ნეირო-ფსიქოლოგიური და ფიზიკური რეაბილიტაცია. კონსილიუმის ექსპერტების შეფასებით, რეაბილიტაციის სათანადოდ გასავლელად აუცილებელია სააკაშვილის მულტიპროფილურ საავადმყოფოში გადაყვანა, რომელიც აღჭურვილი იქნება შესაბამისი სამედიცინო აპარატურით. აღნიშნულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს საქართველოში არსებული ვერც ერთი პენიტენციური დაწესებულება, რაზეც მოწმობს, როგორც სახალხო დამცველის მიერ შექმნილ სპეციალისტთა/ექსპერტთა ჯგუფის 18.11.2021; 25.11.2021 ; 14.12.2021 ; 22.04.2022 წლის დასკვნები, ასევე ცენტრ „ემპათიას“ ექსპერტთა დასკვნები და რეკომენდაციები N02-11/2021 და N03-12/21; ასევე დანიშნულება 17.01.2022 და ომბუდსმენის შეფასება გლდანის მე-18 დაწესებულების მდგომარეობასთან დაკავშირებით.

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ სააკაშვილს სამედიცინო მომსახურებას უწევდნენ რუსთავის პენიტენციურ, გლდანის #18 დაწესებულებასა და გორის სამხედრო ჰოსპიტალში, მაგრამ პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა დღითიდღე რეგრესირებს. გარდა ამისა, გამოცდილებამ აჩვენა, რომ ხელისუფლება არ არის მოტივირებული მიხეილ სააკაშვილისთვის მკურნალობის გასაწევად და მათ მიერ აქამდე განხორციელებული ყოველი ქმედება, მათ შორის, „ექიმთა მულტიფუნქციური ჯგუფის შექმნა“ წარმოადგენდა მხოლოდ ფორმალობას. ხელისუფლება ცდილობს, არ გაიზიაროს განსხვავებული სამედიცინო აზრი პატიმარ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით და არ მისცეს დაცვის მხარეს და პატიმრის ოჯახს შესაძლებლობა, თავად უზრუნველყონ მიხეილ სააკაშვილისთვის ადეკვატური სამედიცინო დახმარების მიღება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ომბუდსმენის მიერ შექმნილი კონსილიუმის 22 აპრილის ვიზიტმა გამოკვეთა, რომ პაციენტის მდგომარეობა დამატებით მნიშვნელოვნად გაუარესდა. კონსილიუმმა გასცა სააკაშვილის დროული კომპლექსური ნეირო-ფსიქოლოგიური და ფიზიკური რეაბილიტაციის რეკომენდაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობს უდიდესი საფრთხე, რომ ორგანიზმის ცილოვანი შიმშილი გარდაუვლად გამოიწვევს კუნთოვანი და ორგანული წონის მნიშვნელოვან კარგვას, ინფექციების მაღალ რისკსა და შინაგან

[45] ,,პაციენტის უფლებების შესახებ'' საქართველოს კანონი, მუხლი 8.

ორგანოთა სისტემების მოქმედების მოშლას.

გასულმა თვეებმა აჩვენა, რომ მიხეილ სააკაშვილის რეაბილიტაციის პროცესში სახელმწიფო არ/ვერ ასრულებს სახალხო დამცველის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დეკემბერ-იანვარში გაცემულ რეკომენდაციებს ფსიქოთერაპიისა და ფიზიკური რეაბილიტაციის ჩატარებასთან დაკავშირებით. კონსილიუმის ბოლო დასკვნაში ვკითხულობთ, რომ მედიკამენტოზურმა მკურნალობამ, რომელიც ამ პერიოდის შემდეგ პაციენტს მიეწოდებოდა, შედეგი არ გამოიღო და მდგომარეობა დამძიმდა. შესაბამისად, მხოლოდ მედიკამენტოზური მკურნალობის გაგრძელება, ანალოგიურ პირობებში, დასახელებული რეკომენდაციების შეუსრულებლად, იქნება არაეფექტიანი, მომავალში კვლავ ვერ გამოიღებს დადებით შედეგებს და გამოიწვევს პაციენტის მდგომარეობის ზემოაღნიშნული ფორმით მკვეთრად დამძიმებას, რამაც, შესაძლოა, შეუქცევადი შედეგები გამოიწვიოს.

ვინაიდან ექსპერტთა შეფასებით, საქართველოში მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის დაცვის უფლება სათანადოდ რეალიზებული არაა და სახელმწიფო არ/ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს აღნიშნული კუთხით, რისკების თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია, მესამე პრეზიდენტის სამკურნალო მიზნებისთვის უცხოეთში გადაუდებელი გადაყვანა.

ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, განაჩენის აღსრულების გადავადების და გათავისუფლებული პატიმრის უცხოეთში მკურნალობის თაობაზე ადამიანის უფლებათა ცენტრის პრაქტიკაც არსებობს. ***კერძოდ: თ.რ.-მ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში 12 წელი გაატარა. ამ წლების განმავლობაში, იგი არაერთხელ დაექვემდებარა წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას, რის გამოც მას განუვითარდა სხვადასხვა მძიმე დაავადებები. ადამიანის უფლებათა ცენტრის არაერთგზის მცდელობის მიუხედავად, სასჯელაღსრულების სამინისტრო უარს აცხადებდა წამების მსხვერპლი მსჯავრდებულის განთავისუფლებაზე, მიუხედავად იმისა, რომ მისი დიაგნოზი შეესაბამებოდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ მძიმე და განუკურნებელ დაავადებათა ჩამონათვალს, რაც წარმოადგენს სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების საფუძველს. საბოლოოდ, სხვა მძიმე დაავადებების გართულების გარდა, თ. რ.-ს მკვეთრად დაუქვეითდა მხედველობა და შეექმნა ორივე თვალით სრულად დაბრმავების საფრთხე. იგი საჭიროებდა გადაუდებელ ოპერაციულ მკურნალობას, რაც მკურნალი ექიმის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, პენიტენციური სისტემის პირობებში ვერ განხორციელდებოდა. აქედან გამომდინარე, მას გადაუვადეს განაჩენის აღსრულების ვადა და მიეცა შესაძლებლობა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, მკურნალობა გაეგრძელებინა საფრანგეთში.***

განაჩენის აღსრულების გადავადების, ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის გამო სასჯელის მოუხდელი ნაწილისაგან გათავისუფლების საკანონმდებლო რეგულირება

2022 წლის 27 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველმა ისაუბრა რეკომენდაციის შესახებ, შედგეს ექიმების ჯგუფი, რომელიც იმსჯელებს, სად და რა ფორმით არის უმჯობესი და საჭირო მიხეილ სააკაშვილის მკურნალობა და გადაწყვეტილებაც სწორედ ამის შესაბამისად უნდა იყოს მიღებული. ამასთან, ნინო ლომჯარიას განცხადებით, თუ სახელმწიფო მის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს არ შეასრულებს, ეს გაუტოლდება არაადამიანურ მოპყრობას და სახეზე გვექნება ევროკონვენციის მესამე მუხლის დარღვევა[46]. სახალხო დამცველის განცხადებით, შესაძლებელია, მოხდეს მიხეილ სააკაშვილის

[46] palitranews.ge, სახალხო დამცველის განცხადება, https://bit.ly/3RjDvVp, 27.04.2022.

სასჯელის გადავადება ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, შეიძლება სასჯელის მოსახდელად მისი გადაცემა სხვა ქვეყნისთვის, ასევე შესაძლებელია შეწყალება, ან პენიტენციურმა დაწესებულებამ უზრუნველყოს მისი მკურნალობა, ხოლო სახელმწიფომ შესაბამის გარემოში მკურნალობა შესთავაზოს[47].

„საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის" 283-ე და 284-ე მუხლები არეგულირებენ განაჩენის აღსრულების გადავადების, ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის გამო სასჯელის მოუხდელი ნაწილისაგან გათავისუფლების, ასევე, საქართველოში ექსტრადირებას დაქვემდებარებული მსჯავრდებულის მიმართ განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილ საკითხებს. სამივე ეს ვითარება ამა თუ იმ დოზით მოიცავს სასჯელის აღსრულების გადავადების საკითხს. სსსკ-ის 283-ე მუხლი პირდაპირ ეხება განაჩენის აღსრულების გადავადებას[48], მაგრამ სსკ-ისგან განსხვავებით არა მარტო ორსული მსჯავრდებულისათვის მშობიარობიდან ერთი წლის ვადით, არამედ ყველა იმ მსჯავრდებულისათვის, რომელსაც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, განაჩენის გამოტანის მომენტისთვის ჯანმრთელობის ისეთი მდგომარეობა უდასტურდება, რომელიც შეუძლებელს ხდის ან ხელს შეუშლის თავისუფლების აღკვეთის სახით შეფარდებული სასჯელის აღსრულებას.

მძიმე ავადმყოფობის გამო განაჩენის აღსრულების გადავადებისას გადაწყვეტილების გამომტანმა სასამართლომ იმავე განაჩენით (განჩინებით) უნდა დაადგინოს მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენის მიზნით ექსპერტიზის მსჯავრდებულის ხარჯით, წელიწადში სულ მცირე ერთხელ ჩატარებისა და მსჯავრდებულის მიერ ექსპერტიზის დასკვნის წარდგენის პერიოდულობა. თუ მსჯავრდებული გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შესაბამისი პერიოდულობით არ წარუდგენს ექპერტიზის დასკვნას, სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე, განჩინებით იღებს გადაწყვეტილებას სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოსახდელად მსჯავრდებულის შესაბამის დაწესებულებაში დაბრუნების შესახებ[49].

მსჯავრდებულის მიერ ექსპერტიზის დასკვნის წარდგენის შემთხვევაში განაჩენის აღსრულების გადავადების გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე, განჩინებით იღებს გადაწყვეტილებას განაჩენის აღსრულების გადავადების თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ ან გადაწყვეტილებას სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოსახდელად მსჯავრდებულის შესაბამის დაწესებულებაში დაბრუნების შესახებ[50].

საყურადღებოა, რომ ამ შემთხვევაში, განაჩენის აღსრულების გადავადების ვადა განსაზღვრულია ვითარების შეცვლით, ანუ კონკრეტული ვადა ან დროითი ფარგლები არ არის მოცემული. განაჩენის აღსრულების გადავადება გრძელდება მსჯავრდებულის გამოჯანმრთელებამდე ან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესებამდე[51].

ავადმყოფობის გამო სასჯელისგან გათავისუფლება თავისი არსით და სამართლებრივი ბუნებით სსკ-ის 75-ე მუხლს ნამდვილად ემსგავსება. თუმცა, ის განსხვავდება ხანდაზმულობის გამო სასჯელისაგან გათავისუფლების ინსტიტუტისაგან. მძიმე ავადმყოფობის გამო განაჩენის აღსრულების გადავადებისას, გამოჯანმრთელების შემთხვევაში, პირს შეიძლება, კვლავ დაეკისროს სისხლისსამართლებრივი

[47] interpressnews.ge, სახალხო დამცველის განცხადება, https://bit.ly/3BjiFj2, 27.04.2022.
[48] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 283.
[49] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 283(3).
[50] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 283(4).
[51] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 283(1) ,,ა" ქვეპუნქტი.

პასუხისმგებლობა თუ არ არის გასული სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე და 76-ე მუხლებით გათვალისწინებული გარემოებები. სასამართლო, ხოლო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდების შემთხვევაში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისია უფლებამოსილია სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გაათავისუფლოს პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებული, თუ მას აქვს დაავადება ან დაავადებათა ერთობლიობა და მკურნალობის ფონზე მისი ძირითადი სასიცოცხლო მაჩვენებლების შენარჩუნება გართულებულია. ამასთანავე, ექიმთა კონსილიუმის მიერ კონსენსუსის საფუძველზე განსაზღვრული ლეტალურობის პროგნოზი მაღალია[52].

სასამართლო უფლებამოსილია, სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გაათავისუფლოს სასჯელის მოხდის პერიოდში ხანდაზმულობას მიღწეული პირი (ქალი – 65 წლიდან, მამაკაცი – 70 წლიდან), თუ მას სასჯელის სახით დანიშნული არ აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა და მოხდილი აქვს სასჯელის არანაკლებ ნახევარი[53].

ასეთ შემთხვევაში, კანონი შესაბამის ორგანოს უტოვებს უფლებას, თავისი შეხედულებით, მოცემული გარემოებების გათვალისწინებით იმსჯელოს დარჩენილი, სასჯელის მოუხდელი ნაწილისგან გათავისუფლების შესახებ. თუმცა, გარდა პირის ხანდაზმულობის ასაკისა, მხედველობაშია მისაღები პირის მიერ ჩადენილი ქმედება, დანაშაულის ხასიათი და დამდგარი შედეგი[54].

იმ მძიმე და განუკურნებელ დაავადებათა ჩამონათვალი, რომლებიც მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან გასათავისუფლებლად წარდგენის საფუძველია, განსაზღვრულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-6/ნ ბრძანებით[55]. ეს შეიძლება იყოს: ტუბერკულოზი, ავთვისებიანი სიმსივნეები, სხივური დაავადებები, ენდოკრინული სისტემის დაავადებები, ფსიქიკური აშლილობები, ნერვული სისტემის დაავადებები, მხედველობის მოშლა და სიბრმავე, გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქი გზების დაავადებები, საჭმლის მომნელებელი სისტემის, თირკმლების დაავადებები და ა.შ. როგორც წესი, ამ შუამდგომლობას აყენებს თავად მსჯავრდებული, მისი ადვოკატები. იგივე შეიძლება მოითხოვოს სპეციალური პენიტენციური სამსახურის დირექტორმაც, თუ ხედავს, რომ პატიმრის მდგომარეობა მძიმეა.

როგორც საჯაროდ ცნობილია, მიხეილ სააკაშვილის უფლებადამცველებ-მა/ადვოკატებმა სასჯელის გადავადების შუამდგომლობაზე მუშაობა უკვე დაიწყეს. სააკაშვილის ადვოკატის, შალვა ხაჭაპურიძის განცხადებით: *„შუამდგომლობა დაიწერება სულ სხვა სტანდარტით, ამ პროცესში ჩართული იქნება სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის, ადმინისტრაციული და საერთაშორისო სამართლის საკმაოდ საინტერესო პრაქტიკა, რომელიც არსებობს მთელი მსოფლიოს მასშტაბით“*[56]. აღსანიშნია, რომ ამ დრომდე, დაკავების დღიდან - დღემდე, მათ შესაბამისი ორგანოებისთვის ასეთი მოთხოვნით არ მიუმართავთ.

ამას გარდა, 2022 წლის 1 სექტემბერს, ადამიანის უფლებათა ცენტრმა წერილობით

---

[52] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 284(2).

[53] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 284(3).

[54] არსოშვილი გ., მიქანაძე გ., შალიკაშვილი მ., პრობაციის სამართალი, თბ. 2015. 33 ტყეშელიაძე გ., ლეკვეიშვილი მ., ნაჭყებია გ., თოდუა ნ., მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., მამულაშვილი გ., ივანიძე მ., ხერხეულიძე ი., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2016, გვ. 593.

[55] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-6/ნ, 2013 წლის 15 თებერვალი, ქ. თბილისი. https://bit.ly/3CXTHHq

[56] publika.ge, სააკაშვილის ადვოკატებმა სასჯელის გადავადების შუამდგომლობაზე მუშაობა დავიწყეთ - ხაჭაპურიძე, https://bit.ly/3RZGpyT, 22.08.2022.

მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს, რათა გამოეთხოვა ინფორმაცია, 2012 წლიდან - 2021 წლამდე, რამდენი მსჯავრდებული პირის მიმართ მოხდა საპატიმრო სასჯელის გადავადება ან/და საპატიმრო სასჯელისაგან ვადამდე გათავისუფლება ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. ამ უკანასკნელის მხრიდან, ცენტრს პასუხი დღემდე არ მიუღია.

რაც შეეხება საქართველოს უზენაეს სასამართლოს, ადამიანის უფლებათა ცენტრის 2022 წლის 01 სექტემბრის N OL-6308 განცხადების პასუხად, გვაცნობეს, რომ საქართველოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში მოქმედი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებში ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საპატიმრო სასჯელის გადავადების ან/და საპატიმრო სასჯელისგან ვადამდე გათავისუფლების თაობაზე განხილული შუამდგომლობები ცალკე არ აღირიცხება. შესაბამისად, მათი განცხადებით, ისინი მოკლებული არიან ჩვენ მიერ მოთხოვნილი მონაცემების მოწოდების შესაძლებლობას.

მსჯავრდებულ/ბრალდებულ მიხეილ სააკაშვილთან ვიზიტის პრობლემა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში

2021 წლის 28 დეკემბერს სააკაშვილთან შეხვედრის შესაძლებლობა არ მიეცა მის ადვოკატს, გიორგი მშვენიერაძეს. ადვოკატმა ადგილზე წარმოადგინა ბრალდებულთან შესვლისათვის საჭირო ყველა დოკუმენტაცია (ორდერი და ადვოკატის მოწმობა), მაგრამ გორის სამხედრო ჰოსპიტალის წარმომადგენლებმა არ ისურვეს განემარტათ, თუ როდის მიეცემოდა მას დაცვის ქვეშ მყოფთან შეხვედრის შესაძლებლობა. რელევანტურია აღინიშნოს, რომ ადვოკატის საავადმყოფოსთან ლოდინის პერიოდში, სააკაშვილთან სხვა ვიზიტორი არ იმყოფებოდა.

აღნიშნული ხელშეშლის შესახებ წერილობითი განცხადებით ეცნობა საქართველოს სახალხო დამცველს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს, საქართველოს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალურ დირექტორსა და საქართველოს იუსტიციის მინისტრს. სახალხო დამცველის აპარატმა განცხადების საპასუხოდ წერილობით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, რომელმაც მოგვიანებით ადვოკატი დაიბარა გამოკითხვაზე. ადვოკატმა გენერალურ ინსპექციას მომხდართან დაკავშირებით მისცა ახსნა-განმარტება და წარუდგინა პენიტენციურ დაწესებულებაში მისი ყოფნის ამსახველი ვიდეომასალა.

2021 წლის 9 ნოემბერს პრობლემა წარმოიშვა ადვოკატებისთვის საშვის დაშვებასთან დაკავშირებით. ადვოკატ ბექა ბასილაიას განცხადებით, გლდანის მე-18 დაწესებულების წარმომადგენლები გარკვეული პერიოდის განმავლობაში ადვოკატებს საშვს არ უწერდნენ. აღსანიშნავია, რომ ადვოკატებზე საშვის დაშვების პრობლემა მას შემდეგ წარმოიშვა, რაც 8 ნოემბრის საღამოს, მიხეილ სააკაშვილი რუსთავის პენიტენციური დაწესებულებიდან გლდანის მე-18 სამკურნალო დაწესებულებაში მოტყუებითა და იძულებით გადაიყვანეს.

2021 წლის 2 ოქტომბერს, სააკაშვილის მოსანახულებლად არ დაუშვეს პრეზიდენტის ადვოკატები - დიმიტრი საძაგლიშვილი და ნიკა გვარამია.

ბრალდებულთან განხორციელებული ვიზიტების პერიოდში, ადვოკატებისთვის შეზღუდული იყო კლიენტთან კომუნიკაციის საშუალებები. კერძოდ:

1. გლდანის მე-18 დაწესებულების დირექტორის განკარგულების საფუძველზე, სააკაშვილს დაეკისრა დისციპლინური სახდელი და 2 თვით შეეზღუდა სატელეფონო საუბრის უფლება;

2. შეხვედრების ოთახში ამოაშენეს მინის ბარიერი, რამაც შეზღუდა პირდაპირი კომუნიკაცია მიხეილ სააკაშვილთან და შეუძლებელი გახდა ადვოკატსა და კლიენტს შორის წერილების/დოკუმენტაციის გაცვლა. უწყებამ აღნიშნულის მიზეზად კოვიდპანდემია დაასახელა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის შედეგები

2022 წლის ივნისში ე.წ. საზღვრის კვეთის საქმეზე გამართულ სასამართლო სხდომაზე მიხეილ სააკაშვილის გამოუცხადებლობა ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით და მისი უარი მის გარეშე საქმის განხილვასთან დაკავშირებით, გახდა სხდომის 1 კვირით გადადების მიზეზი. ზოგადად კი, სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა გახდა სააკაშვილის არაერთ სხდომაზე გამოუცხადებლობისა და სხდომების გადადების მიზეზი. სხდომებს მოსამართლე ნიშნავდა კვირაში ერთხელ, მიუხედავად იმისა, რომ დაცვის მხარემ ითხოვა სხდომების ჩანიშვნის ვადის გახანგრძლივება, რადგან სააკაშვილის გამოჯანმრთელების პერსპექტივა მოკლე ვადაში არ იყო შესამჩნევი. სხდომების რამდენჯერმე გადადების შემდგომ მოსამართლემ მხარეებთან იკითხა გასვლით სხდომებთან დაკავშირებით მათი პოზიცია, რასაც ბრალდების მხარე დაეთანხმა. თუმცა, ადვოკატმა არ გაიზიარა ბრალდების პოზიცია და აღნიშნა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, ბრალდებულს გაუჭირდებოდა ჩვენების მიცემა.

მომდევნო სხდომაზე მოსამართლემ განმარტა, რომ სასამართლოში კლინიკა „ვივამედიდან“ წარდგენილია ცნობა, სადაც წერია, რომ სააკაშვილი ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისიწინებით ვერ ცხადდება სასამართლოში და უარს აცხადებს მისი მონაწილეობის გარეშე საქმის განხილვაზე. ბრალდების მხარემ ცნობის გაცნობის შემდგომ აღნიშნა, რომ ცნობის თანახმად: „ბრალდებულს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, მხოლოდ ტრანსპორტირება არ შეეძლო და არა განხილვაში მონაწილეობის მიღება“. ბრალდების მხარის განცხადებით, ადვოკატებს არანაირი დოკუმენტი არ წარმოუდგენიათ, რომ სააკაშვილს არ შეეძლო საქმის განხილვაში მონაწილეობა და უკვე მე-4 სხდომა გადაიდო, რაც მათი აზრით, პროცესის გაჭიანურებას ემსახურებოდა.

ამის შემდეგ ბრალდების მხარემ დააყენა შუამდგომლობა კლინიკა „ვივამედში“ გასვლითი სხდომის ჩატარებისა და საქმის განხილვის შესახებ. როგორც ადვოკატისგან გახდა ცნობილი, წინა დღეს დაუკავშირდა საქმის განმხილველი მოსამართლის თანაშემწე და მიაწოდა ინფორმაცია, რომ ტარდებოდა გასვლითი სხდომა კლინიკა „ვივამედში“. *საინტერესოა ის ფაქტი, რომ მოსამართლემ ეს ინფორმაცია უარყო. ასევე, ეს ინფორმაცია უარყო ბრალდების მხარემაც და განაცხადა, რომ ისინი ახლა აყენებდნენ ამ შუამდგომლობას და რომ სხდომის შესახებ წინა დღით მათთვის არ იყო ცნობილი. მოსამართლემ არ გაიზიარა დაცვის პოზიცია, გადადებულიყო სხდომა, რადგან სააკაშვილი ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, ვერ შეძლებდა გასვლით სხდომაში სრულფასოვან მონაწილეობას. გამოცხადდა გასვლითი სხდომა და მოსამართლემ დატოვა სხდომის დარბაზი. თუმცა, სხდომა გადაიდო კლინიკა „ვივამედშიც“. მათ მოუსმინეს ექიმებს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ მედიკამენტების ზემოქმედების ქვეშ, სააკაშვილს, შესაძლოა, ჩასძინებოდა, ვერ გაეხსენებინა ფაქტები და შეუძლოდ გამხდარიყო. ასევე, მიიღეს ინფორმაცია, რომ თვის ბოლოს სააკაშვილს უხსნიდნენ ერთ-ერთ მედიკამენტს და მისი მდგომარეობა ცნობიერებასთან დაკავშირებით გაუმჯობესდებოდა.*

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორმა კლინიკა „ვივამედში“ გასვლით სხდომასთან დაკავშირებით ინფორმაცია ადვოკატისა და ჟურნალისტებისგან შეიტყო სხდომის დაწყებამდე სასამართლოში სხდომის დასამონიტორინგებლად მისვლისას.

თუმცა, ადვოკატისთვის უცნობი იყო, რა საფუძველი გამოიყენა სასამართლომ გადაწყვეტილების მისაღებად. როგორც სხდომაზე გახდა ცნობილი, გასვლით სხდომასთან დაკავშირებით ბრალდების მხარემ აიღო გასვლითი სხდომის გამართვის ინიციატივა შესაბამისი შუამდგომლობის წარდგენის გზით, რაც სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდა.

2022 წლის 16 ივნისს კლინიკა „ვივამედში“ გამართულ სასამართლო სხდომაზე, წერილობითი ფორმით მიმართვის მიუხედავად, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორს არ მიეცა დასწრებისა და მონიტორინგის განხორციელების უფლება. ცენტრის შესფასებით, მნიშვნელოვანია, პროცესის საჯაროობის პრინციპის დაცვა, მითუმეტეს - ასეთ რეზონანსულ საქმეზე, სადაც მაღალი საზოგადოებრივი ინტერესია. კლინიკა „ვივამედში“ გამართულ გასვლით სხდომაზე ეს პრინციპი სრულად უგულვებელყოფილია.

ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის შედეგად, გამოიკვეთა კიდევ ერთი პრობლემა: იმ დროს, როცა დაცვის მხარე აყენებდა შუამდგომლობას, სააკაშვილთან დაეშვათ „ემპათიის“ ექსპერტთა ჯგუფის წევრები, სასამართლო უსაფუძვლოდ დებდა სხდომებს და იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მოსამართლის ქმედება, სავარაუდოდ, ემსახურებოდა პროცესის გაჭიანურებას. გარდა ამისა, მოსამართლემ 2 სხდომა გადადო იმ მოტივით, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის წარმომადგენლებისგან მიეღო მის წერილზე პასუხი, რატომ არ დაუშვეს ექსპერტთა ჯგუფის წევრები, რაც უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი იყო, ვინაიდან, კანონმდებლობის საფუძველზე, ასეთ შემთხვევაში, თვითონ იღებს სასამართლო გადაწყვეტილებას დაშვებასთან დაკავშირებით.

2022 წლის 27 ივნისს კლინიკა „ვივამედში“ გამართულ სასამართლო სხდომაზე, ბრალდების მხარემ კვლავ იშუამდგომლა გასვლით სხდომაზე და აღნიშნა, რომ ექიმებისგან წინა სხდომაზე მიღებული ინფორმაციით, სააკაშვილს მოეხსნა მედიკამენტი და შესაძლებელი იყო ჩვენების მიცემა, მას აღარ უქმნიდა ჯანმრთელობის მდგომარეობა პრობლემას. თუმცა, მოსამართლემ აღნიშნა, რომ მას სურდა „ვივამედის” მკურნალი ექიმებისგან მიეღო ინფორმაცია, შეძლებდა თუ არა სააკაშვილი ჩვენების მიცემას, მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილ ცნობაში ეწერა, რომ შესაძლებელი იყო სხდომის ჩატარება კლინიკა ,,ვივამედში”. მოსამართლემ მიიჩნია, რომ ცნობის შინაარსი იყო დასაზუსტებელი და აღნიშნა, რომ მიმართავდა ექიმებს კონკრეტული შეკითხვით შესაბამისი პასუხის მისაღებად და ამის შემდეგ გამოაცხადებდა მომდევნო სხდომის თარიღს და გადაწყვეტდა გასვლითი სხდომა თუ იქნებოდა შესაძლებელი.

ამის შემდეგ გამართული ყველა სასამართლო სხდომა გადაიდო კლინიკა ,,ვივამედიდან” წარდგენილ ცნობაზე მითითებით, რომ სასამართლო სხდომებზე მიხეილ სააკაშვილის დასწრება, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, არ არის რეკომენდებული.

ამ პრობლემასთან დაკავშირებით, ზოგადად, აღსანიშნავია განსხვავებული მიდგომა სააკაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე ე. წ. 2007 წლის 7 ნოემბრის საქმის სასამართლო სხდომებზე, რომელსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგია, ნინო ელიეშვილის თავმჯდომარეობით. სხდომების ჩანიშვნისას, მოსამართლე ითვალისწინებს სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობას და მომდევნო სხდომას ნიშნავს დაახლოებით ორთვიანი ინტერვალით.

რეკომენდაციები

სასამართლო ხელისუფლებას:

- *მოსამართლეებმა უზრუნველყონ სამართლიანი სასამართლო პროცესი და მიღებული გადაწყვეტილებების მაღალი სტანდარტით დასაბუთებით, სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების დაცვით, აამაღლონ საზოგადოების ნდობა მართლმსაჯულების სისტემის მიმართ.*
- *უზრუნველყოს პროცესის საჯაროობის პრინციპის დაცვა, მითუმეტეს ასეთ რეზონანსულ საქმეზე, სადაც მაღალი საზოგადოებრივი ინტერესია, ვინაიდან კლინიკა „ვივამედში“ გამართულ გასვლით სხდომაზე ეს პრინციპი სრულად უგულვებელყოფილია.*

იუსტიციის სამინისტროს/სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს:

- *იხელმძღვანელოს ექიმთა მულტიფუნქციური ჯგუფის დასკვნებისა და ადამიანის ღირსების შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფის ვალდებულების შესაბამისად და პატიმარს შეურჩიოს ალტერნატიული სამედიცინო დაწესებულება, როცა ამის გადაუდებელი საჭიროება არსებობს.*
- *პატიმრის ჯანმრთელობის განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობის გათვალისწინებით, იმუშაოს სასჯელის გადავადების საკითხსა და მისთვის საზღვარგარეთ მკურნალობის შესაძლებლობის მიცემაზე.*